საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

ENTERPRISE GEORGIA

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში

პროგრამის მიმოხილვა



- ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსებთან წვდომის თვალსაზრისით, საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩება თბილისს, რომელზეც, 2013 წლის მონაცემებით, მთლიანი ბიზნეს ბრუნვის 72% მოდის, მაშინ როდესაც რეგიონებში 28% ფიქსირდება.

- აბსოლუტური მონაცემებით, ბიზნესის ბრუნვა ერთ სულზე თბილისში არის 27,200 ლარი, ხოლო საშუალო რეგიონული მაჩვენებელი - 3,700 ლარი.

- ეკონომიკური სარგებლის განაწილების თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული სიტუაცია არის თვითმმართველ ქალაქებისა და სოფლების შედარებისას.

- რეგიონული და სოფლად არსებული ბიზნეს სექტორი ხასიათდება დაბალი კონკურენტუნარიანობითა და პროდუქტიულობით.

- დაბალი ეკონომიკური აქტივობის გამო, სოფლად მოპოვებული მცირე შემოსავლების ათვისება ძირითადად ხდება თბილისსა და სხვა მსხვილ ქალაქებში.

- გამომდინარე არსებული სიტუაციიდან, შემუშავდა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“, რომელიც იქნება პირველი ნაბიჯი მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისკენ.

- „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ ითვალისწინებს რეგიონებში ბაზირებული მიკრო და მცირე მეწარმეების სტატუსის მქონე ფიზიკური პირების, და ასევე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების, მხარდაჭერას ფინანსური და ტექნიკური ინსტრუმენტების დანერგვის გზით. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი არის 20 მილიონი ლარი და ის გაგრძელდება 26 თვის განმავლობაში.

- ფინანსური მხარდაჭერის კუთხით პროგრამა ითვალისწინებს თანამონაწილეობრივი დაფინანსების გაცემას დამწყებ და არსებულ მეწარმე სუბიექტზე ან, მაქსიმუმ 3 ბენეფიციარისგან შემდგარი, მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5,000 ლარით ერთ მეწარმეზე, რაც მეწარმეთა ჯგუფის შემთხვევაში 15,000 ლარს შეადგენს. ბენეფიციარების მხრიდან თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20%-სა.

- ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით, პროგრამა ითვალისწინებს 2 კომპონენტს:

  - ტრენინგები, რომლებიც განხორციელდება პროგრამის დაწყებიდან პირველი 4 თვის განმავლობაში და ისახავს მიზნად დაფინანსების მიღების მსურველთა მომზადებას, რათა მათ შეეწყოთ ხელი კომერციულად მომგებიანი ბიზნეს გეგმისა თუ საპროექტო წინადადების მოსამზადებლად. სწორედ ტრენინგების შედეგად მომზადებული მასალის საფუძველზე იქნებიან შერჩეულები ბენეფიციარები;
  - ტექნიკური პროფესიონალური კონსულტაციები და მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა გაეწევა უკვე დამტკიცებულ ბენეფიციარებს დაფინანსების გაცემიდან 12 თვის განმავლობაში.



	ლოტები	მოსახლეობა	ბიუჯეტის წილი	ბიუჯეტი
1	აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი	1,011.7	30.5%	6,100,000
2	კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი	827.6	25%	5,000,000
3	სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი	726.8	21.9%	4,380,000
4	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	749.2	22.6%	4,520,000

- პროგრამა გათვლილია რეგიონის მოსახლეობაზე და ითვალისწინებს მიკრო და მცირე ბიზნესის დაფინანსებას რეგიონში მცხოვრები 3.3 მილიონზე მეტი ადამიანის პროპორციულად.

- სამიზნე რეგიონები დაყოფილია 4 ლოტად, რომლების მიხედვითაც განხორციელდება პროგრამის იმპლემენტაცია:

  1. ლოტი 1 - აჭარა, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი (მოსახლეობა 1,011,700 ადამიანი -რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 30.5%) - სავარაუდო ბიუჯეტი 6,100,000 ლარი
  2. ლოტი 2 - კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი (მოსახლეობა 827,600 ადამიანი - რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 25%) - სავარაუდო ბიუჯეტი 5,000,000 ლარი
  3. ლოტი 3 - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (მოსახლეობა 749,200 ადამიანი - რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 22.6%) - სავარაუდო ბიუჯეტი 4,520,000 ლარი
  4. ლოტი 4 - სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი (მოსახლეობა 726,800 ადამიანი - რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 21.9%) - სავარაუდო ბიუჯეტი 4,380,000 ლარი

- თითოეულ ლოტში გაერთიანებულ თვითმმართველ ქალაქებში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებზე დასაშვებია გაიცეს ლოტის მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 20 პროცენტისა.



- პროგრამის განმახორციელებლი იქნება შესაბამისი გამოცდილების მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით

შექმნილი/მოქმედი ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სუბიექტებისა. პოტენციურ განმახორციელებლად ძირითადად მოიაზრებიან საკონსულტაციო კომპანიები და არა-სამთავრობო, არა-კომერციული ორგანიზაციები;

- ერთ ლოტზე დასაშვებია ორი ან მეტი ორგანიზაციის ერთობლივი (ორგანიზაციათა ჯგუფის) მონაწილეობა, ხოლო ერთ ორგანიზაციას აქვს უფლება წარადგინოს საპროექტო განაცხადი მაქსიმუმ ორ ლოტზე.

პროგრამის განხორციელება მოხდება სლაიდზე მითითებული სქემის თანახმად:

- მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახდენს განმახორციელებლი ორგანიზაციისთვის ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი იქნება პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის რეალიზაციაზე;
- ასევე, განმახორციელებელი ორგანიზაციის ფუნქციები იქნება დამტკიცებული ბენეფიციარების წარდგენა დაფინანსების მისაღებად, რომელსაც გასცემს მეწარმეობის განვითარების სააგენტო;
- პროგრამაზე მონიტორინგის ფუნქცია აკისრია როგორც განმახორციელებელს, ისე სახელმწიფოს:
    - განმახორციელებელი ორგანიზაცია გაუწევს მონიტორინგს ბენეფიციარის საქმიანობას და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრივად ხარჯვას;
    - ხოლო მეწარმეობის განვითარების სააგენტო, თავის მხრივ, გაუწევს მონიტორინგს განმახორციელებელი ორგანიზაციის საქმიანობას.

პროგრამის ძირითადი დანიშნულება არის მისცეს ბიძგი მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას, თუმცა, აქვე ხაზგასასმელია რამოდენიმე კონკრეტული შედეგი, რომელიც ჩვენ გვინდა რომ მივიღოთ „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ დანერგვის შედეგად. ესენია:

- რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- შემოსავლების ათვისება რეგიონში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის რეგიონში ეკონომიკურ აქტივობას და შექმნის შესაბამის გარემოს შემდგომში უკვე სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ბიზნესის დაწყებისა და ამუშავების პერსპექტივის გასავითარებლად;
- რეგიონული პროდუქციის დივერსიფიკაცია - რათა შემოსავლის გენერაცია მოხდეს არა მხოლოდ ერთი ტიპის პროდუქტისა და სერვისის უფრო აქტიურად გაყიდვის შედეგად, არამედ უფრო მეტი და სხვადასხვა სახეობის პროდუქტისა თუ სერვისის მიწოდების შედეგად;
- რეგიონში თანამედროვე ბიზნეს პრაკტიქის დამკვიდრება - რა თქმა უნდა, დაფინანსებას ყველა მსურველი ვერ მიიღეს. პროგრამის სქემა მაქსიმალურად გამიზნულია იმაზე, რომ ტრენინგების კომპონენტის დასრულების შედეგად, ის პოტენციური ბენეფიციარი, რომელიც

ვერ მიიღებს დაფინანსებას, შეიძენს იმ უაღრესად საჭირო ბიზნეს უნარებს რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნებისმიერ მეწარმეს;

- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა - საწარმოების და ზოგადად ბიზნეს აქტივობების ზრდა რეგიონში ავტომატურად ნიშნავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- რეგიონის მკვიდრთა შემცირებული მიგრაცია - ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რეგიონული ბაზრის განვითარება, სოფლად სამეწარმეო აქტივობების ზრდა, გაზრდილი შემოსავლები და ახალი სამუშაო ადგილები არსებითად გააუმჯობესებს რთულ დემოგრაფიულ სიტუაციას რეგიონებში.